

საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის "შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმებასთან დაკავშირებით უწყებების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილი

შენიშვნის ავტორი 1.	შენიშვნა 2.	შედეგი 3.
<p>საგარეო საქმეთა სამინისტრო (09.02.07 №99/19)</p> <p>იუსტიციის სამინისტრო (17.01.07 №01/23/03-359)</p>	<p>- შენიშვნები არ აქვს.</p> <p>1. შეთანხმების პროექტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვას "შეთანხმება" წინ დაემატოს სიტყვა "წინამდებარე".</p> <p>2. პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტში ტერმინი "პირი" მიზანშეწონილია, განმარტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად</p> <p>3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "h" ქვეპუნქტის მიმართ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-15 პუნქტში მოცემული "საურთაშორისო გადაზიდვის" განმარტება მოიცავს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ტვირთების გადატანას ან/და მგზავრების გადაყვანას.</p> <p>4. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი სამშენებლო მოედანს, სამონტაჟო ან სააშენობო ობიექტს მიიჩნევს მუდმივ დაწესებულებასთან გათანაბრებულ ობიექტად მისი არსებობის დროის მიუხედავად.</p>	<p>- შენიშვნა გათვალისწინებულია.</p> <p>- ტერმინი "პირი" განმარტებულია OECD-ს მოდელის მიხედვით. ტერმინი ასეთი სახით არის განმარტებული სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მიერ გაფორმებულ შეთანხმებებში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პირი წარმოდგენდეს გადასახადის გამამხდელს, რაც დამატებით დაზუსტებულია შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლში ტერმინის "რეზიდენტი" განმარტების დროს.</p> <p>- OECD-ს მოდელი ითვალისწინებს გადაზიდვებს მხოლოდ საჰაერო, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტით. სხვადასხვა ქვეყანასთან მოლაპარაკებების დროს, საქართველოს ინტერესებისა და რეალური საჭიროების გათვალისწინებით, აღნიშნულს ზოგიერთ შემთხვევაში ემატება სახმელეთო ტრანსპორტი (საავტომობილო და სარკინიგზო), ან აკლდება სამდინარო წარმოდგენილ პროექტში შესულია მხოლოდ საჰაერო და საზღვაო გადაზიდვები.</p> <p>- აღნიშნულ შემთხვევაში OECD-ის მოდელი ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებსაც. მოდელი ითვალისწინებს სამშენებლო მოედნის მუდმივ დაწესებულებად ჩათვლის პერიოდის, ანუ იმ დროის განსაზღვრას, რომლის განმავლობაში ობიექტი გათავისუფლებულია პირდაპირი გადასახადებისაგან. ესაა იმ</p>

5. მიზანშეწონილია შეთანხმების მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით მხედველობაში იქნეს მიღებული ის, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად გადასახადისაგან გათავისუფლდება "2007 წლის პირველ იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადაამუშავებამდე (საჭონლის კოდის შეცვლამდე) პირველადი მოწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მოწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100000 ლარს".

6. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინის "უძრავი ქონება" განმარტება არ არის შესაბამისობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლებთან.

7. შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრის მეთოდი შეიძლება შეიცვალოს "დამავერებელი და საკმარიხი მიზეზის" წარმოშობის შემთხვევაში. დასაზუსტებელია რა იგულისხმება აღნიშნულ მიზეზში, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილია მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგების განსაზღვრის წესი.

8. მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "უცხოური საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით,

შელაგათების ნაწილი, რისთვისაც იღება ამ ტიპის შეთანხმებები. ამასთან, საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვცდილობთ, რომ შელაგათიანი პერიოდის ხანგრძლივობა იყოს მაქსიმალურად მოკლე

- შენიშვნა გათვალისწინებულია. აღნიშნული გარემოება მხედველობაში იქნა მიღებული.

- შეთანხმებაში უძრავი ქონების განმარტება მოცემულია OECD-ის მოდელის შესაბამისად. ამასთან, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ტერმინს "უძრავი ქონება" აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ ხელშეშეკრული სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება.

- იგულისხმება სწორედ ის, რაზეც საუბარია თავად შენიშვნაში. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილია საწარმოს მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგების განსაზღვრის წესი, ხოლო კოდექსისაგან განსხვავებული წესის დადგენა კი მხოლოდ მასში სათანადო ცვლილების ან რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია.

- კოდექსის აღნიშნული დებულება ეხებათ იმ უცხოურ საწარმებს, რომლებსაც საქართველოში გააჩნიათ მუდმივი დაწესებულება. მათი დაბეგვრა ხორციელდება შეთანხმების მე-5 მუხლის (მუდმივი დაწესებულება) შესაბამისად. აღნიშნული არ შეეხება საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელ საწარმოებს, რომელთა დაბეგვრა რეგულირდება შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

- შენიშვნის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საავიაციო

წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს...”, ამასთან, 170-ე მუხლის მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი უცხოური საწარმოს საქმიანობა ასევე დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას.

9. ამავე მუხლის მე-3 პუნქტში ტერმინი “პული” უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.

10. პროექტის მე-9 მუხლის სათაურში ტერმინი “ურთიერთდამოკიდებული საწარმოები” მართებულია შეიცვალოს ფრაზით “ურთიერთდამოკიდებული პირები” და განიმარტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად.

11. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად ტერმინი “პროცენტი” არ მოიცავს საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილ საგალო ვალდებულებებს.

12. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით მიზანშეწონილია მიგვაჩინა გათვალისწინებულ იქნას ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად ტერმინი “როიალტი” აგრეთვე მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადაშეყვების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასურს, ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, “... ტექნიკური დანხარების გაწვევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებულ

ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი უცხოური საწარმოს საქმიანობა მართლაც ექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საწარმო საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. შეთანხმების მე-8 მუხლით საერთაშორისო გადაზიდვების დაბეგვრა იმიტომაცაა ცალკე გამოყოფილი, რომ ხაზი გაესვას მსგავსი საწარმოების რეზიდენტობით დაბეგვრის აუცილებლობას.

- ტერმინი “პული” მიღებულია და ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში. იგი იხმარება სხვადასხვა ენებზე გაფორმებულ ანალოგიურ შეთანხმებებში (მაგალითად, რუსული ენაზე). ტერმინი იხმარება საქართველოს მიერ გაფორმებულ და ძალაში შესულ ყველა ანალოგიურ შეთანხმებაში. “საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად “საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება” საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

- მე-9 მუხლის სათაურის გამოცვლა არ მიგვაჩინა მიზანშეწონილიად, რადგან ამ მუხლის დებულებები ეხება საწარმოებს.

- აღნიშნული გარემოება მხედველობაში იქნა მიღებული.

- მინერალური წიაღისეულის, საბადოებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დამუშავების, ან დამუშავების უფლებისათვის ცვლადი ან ფიქსირებული გადასახდელები (საზღაური) ექვემდებარება შეთანხმების მე-9 მუხლს და იბეგრება შემოსავლის წყაროსთან.

<p>შემოსავლს”.</p> <p>13. შეთანხმების მე-13 მუხლის სათაურში ფრაზა “შემოსავლები კაპიტალის მატებიდან” უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.</p> <p>14. მე-14 მუხლის სათაურში ფრაზა “დამოუკიდებელი პირადი მომსახურება” უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.</p> <p>15. დასადგენია, რამ განაპირობა წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის 30-ე და 31-ე მუხლების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული განსხვავებული რეჟიმის დადგენის საჭიროება.</p> <p>16. ზემოთხსენებული შეთანხმება შესაბამისობაშია მოსაყვანი “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.</p> <p>17. ამასთან “საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტისა და “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის “კ” ქვეპუნქტის თანახმად წარმოდგენილი შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.</p>	<p>- ფრაზების “შემოსავლები კაპიტალის მატებიდან” და “დამოუკიდებელი პირადი მომსახურება” შესატყვისი ტერმინები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არ არის. ამასთან ეს ტერმინები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, იხმარება სხვადასხვა ენებზე გაფორმებულ ანალოგიურ შეთანხმებებში, ასევე იხმარება საქართველოს მიერ გაფორმებულ და ძალაში შესულ ყველა ანალოგიურ შეთანხმებებში.</p> <p>- განსხვავებული საგადასახადო რეჟიმების დადგენის საჭიროება განპირობებულია სხვადასხვა გადასახადების მიმართ განსხვავებული მიდგომით. მაგალითად, თუ წყაროსთან დასაკავებელი გადასახადების მიმართ საანგარიშო პერიოდი ემთხვევა გადასახადის დაკავების ან/და გადახდის ვალდებულების დადგომის პერიოდს, სხვა გადასახადების მიმართ შესაძლოა საანგარიშო პერიოდი განსხვავდებოდეს გადასახადების გადახდის ვალდებულების დადგომის პერიოდისაგან.</p> <p>- შეთანხმების ქართულენოვანი ტექსტი შესრულებულია სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ანალოგიური შეთანხმებების შესაბამისად. შეთანხმებას ხელი ეწერება ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. სამივე ვერსიაში ცალკეული ქვეპუნქტები დანომრილია ინგლისური ანბანის მიხედვით, რათა ერთი და იგივე დებულებებზე მითითების დროს პრობლემა არ წარმოიშვას.</p> <p>შეთანხმება საჭიროებს რატიფიკაციას. საქართველოს პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიცირების შემთხვევაში, მის დებულებებს ექნებათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში.</p>